ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №138

ქ. ბათუმი **3 მაისი 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (ს/კ 245445200 მის: ქ.ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ№13) შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ. ბიძინა ბიბილეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „STEEL CABLES“ (ს/კ445404036; მის: ქ. ბათუმი შავშეთის ქ№8,ბ-2) შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, მისი დირექტორის ზებურ ბერიძის სახით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტს წარმოადგენს: მავთული (CPV კოდი: 443000000). ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის დასახელების, მახასიათებლების, რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესახებ მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასთა ცხრილში, რომელიც თან ერთვის ხელშკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი №1).

1.2. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და მოქმედების ვადა

2.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ლარში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შესყიდვის ობიექტის“ ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართი№1 სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.5. ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ან/და არაუადრეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

3. შესყიდვის საქონლის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

3.3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

4. შესყიდვის საქონლის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება, მოქმედი ყველა ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ შესყიდვების სპეციალისტი ირაკლი ბროლაძე.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები

6.1. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

6.3. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულწბის საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს :

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელსეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც დადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთანდაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ს.

8.8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

9.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით-მხარეთა შეთანხმებით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან თუ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ფორს - მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი: სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერის ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვილილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.
10.2. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის „საქართველოს სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორს მაჟორის დადასტურების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ,რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა სესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბათუმის განსჯადი სასამართლოს მიერ.
11.2. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
11.3. შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით/ვალდებულების დარღვევით.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი ინსპექტირება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი შემოწმება.
12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
13.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
13.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
13.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
13.7. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
14.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშრებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“	შპს „STEEL CABLES“
მის: ბათუმი, სულხან საბა ორბელიანის ქ№13	მის: ქ. ბათუმი შავშეთის ქ№8,ბ-2
სს „საქართველოს ბანკი“	სს „ტერა ბანკი“
ანგარიშის ნომერი:	ანგარიშის ნომერი:
GE52BG0000000524630000	GE08KS0000000360206390
საიდენტიფიკაციო კოდი:245445200	საიდენტიფიკაციო კოდი:445404036
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი:
ბიძინა ბიბილეიშვილი	ზებურ ბერიძე

Bidzina Bibileishvili 61002004117
Digitally signed by Bidzina Bibileishvili
Date: 2023.05.05 12:19:23

დანართი N1

რიგი	საქონლის აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები	CPV კოდი
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
1	მოთუთიებული მავთული 3,00 მმ	კგ	6,666	4,50	30	ქ. ბათუმი	03/05/23-13/05/23	44333000
		სულ ჯამი:			30 ლარი			

„შემსყიდველი“
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ბიძინა ბიბილეიშვილი

„მიმწოდებელი“
შპს „STEEL CABLES“
დირექტორი:
ზებურ ბერიძე